

სასრული პოზიციების გარდამქმნელების გამოყენება რაოდენობითი
რიცხვითი სახელის გენერაციისათვის (ძველი ქართული ენის
მაგალითზე)

ტყებუჩავა ანა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირინა ლობჯანიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2016

განაცხადი

"როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად".

ტყეზუჩავა ანა

27.06.2016

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სასრული პოზიციის გარდამქმნელების (xfst) გამოყენებით ძველი ქართული ენის რაოდენობითი რიცხვითი სახელისგან თანამედროვე რიცხვითი სახელის მიღება. აღნიშნული მიდგომის გამოყენება განაპირობა იმან, რომ ქართული ენა არის მორფოლოგიური კატეგორიებით მდიდარი ენა.

კვლევა ეყრდნობა როგორც თვისობრივ, ასევე რაოდენობრივ კვლევით მეთოდებს. სასრული პოზიციის გარდამქმნელების გამოყენებით გაიწერა სიტყვის ძირებისა და გრამატიკული წესების ფაილები. სიტყვის ძირების ფაილი საჭიროა იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს რაც შეიძლება ბევრი სიტყვის ერთად თავმოყრა. გრამატიკის ფაილში გათვალისწინებულია ის ძირითადი ფონეტიკური პროცესები, რომელიც რიცხვითმა სახელმა დღემდე განიცადა.

სიტყვის ძირებისა და გრამატიკის ფაილების გაერთიანებით მხოლოდ სწორი ვარიანტები მივიღეთ. დროის სიმცირის გამო გაწერილია რაოდენობითი რიცხვითი სახელები მხოლოდ მხოლოდობით და მრავლობით რიცხვში ერთიდან ასის ჩათვლით.

აღნიშნული კვლევა არის საბაზო საფეხური ამ საკითხის განვითარებაში. რიცხვით სახელს უამრავი პერიოდი აქვს, ჩვენ მხოლოდ მცირეოდენი ნაწილი გამოვიკვლიეთ. დაწყებული კვლევა მოითხოვს საფუძვლიან შესწავლას. მოხარული ვიქნებით, თუ ჩატარებული კვლევა გამოადგებათ საკითხით დაინტერესებულ პირებს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სასრული პოზიციების გარდამქმნელი (xfst), სიტყვის ძირების ფაილი, გრამატიკის ფაილი.